ჟან ანტუან კონდორსე პროგრესის თეორიის შესახებ

ფიქრია დიდებაშვილი
სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

რეზიუმე

ფრანგი ფილოსოფოსი ჟან ანტუან კონდორსე (1743-1794) აღიარებულია, როგორც „პროგრესის“ თეორიის ფუძემდებელი. თავის შრომაში „ადამიანური გონების პროგრესის ისტორიული სურათის ესკიზი” (1794) კონდორსე ისტორიას ჰყოფდა 10 ეპოქად. ასაბუთებდა კაპიტალისტური წყობილების უსასრულო პროგრესის იდეას. ყოველი მომდევნო ეპოქა პროგრესულია წინასთან შედარებით და თავის მხრივ გავლენას ახდენს მომავალზე. პროგრესი მას ესმის პიროვნების ნიჭის, უნარის ყოველმხრივ განვითარებად. კაცობრიობის ისტორია ადამიანის გონების განვითარების ისტორიად.

ჟან ანტუან კონდორსე საზოგადოების სწორხაზობრივი პროგრესული განვითარების თეორიის წარმომადგენელია. მან სცადა დაედგინა ისტორიის განვითარების კანონზომიერებანი, გამოიკვლია საზოგადოების ძირითადი ეტაპები, ისტორიული პროცესის მამოძრავებელი ძალები.

JEAN ANTOINE CONDORCET
ON THE THEORY OF PROGRESS

Piqria Didebashvili
Associeted Professor of GTU

SUMMARY

French philosopher Jean-Antoine Condorcet (1743_1794) is recognized as the founder of the theory of “progress”. In his work “Sketch of the historical picture of the progress of the human mind” (1794), Condorcet divided history into 10 eras. Justified the idea of endless progress of the capitalist system. Each successive era is progressive compared to the previous one and in turn influences the future. He understands progress as the all-round development of a person’s talents and abilities. The history of mankind as the history of the development of the human mind.

Jean Antoine Condorcet is a representative of the theory of society rectilinear progressive development. He tried to determine the patterns of development of history, studied the main stages of development of society, the driving forces of the historical process.

* * * *

ფილოსოფოსები ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდნენ პროგრესის პრობლემისადმი. ყოველ ეპოქაში თავისებურად ისმებოდა ეს პრობლემა. ეს იმის ნიშანია, რომ ადამიანს, ყოველთვის ქონდა სურვილი თავისი მდგომარეობის გაგებისა და შეფასების. პროგრესის ცნების შინაარსში, ზოგადად, მოიაზრება სვლა მარტივიდან რთულისაკენ, დაბლიდან - მაღლისაკენ. ცნება „პროგრესი” (ლათინური სიტყვიდან Progressus – წინსვლითი მოძრაობა) ფართოდ გავრცელებულია ლიტერატურაში და ყოველდღიურ ცხოვრებაში. პროგრესულად თვლიან ყოველგვარ წინსვლას - მოძრაობას უკეთესობისაკენ. პროგრესი განვითარების მიმართულების ტიპია, რომელსაც ახასიათებს სვლა უმდაბლესიდან უმაღლესისაკენ, უფრო სრულყოფილი ფორმებისაკენ, გაცილებით მაღალი ორგანიზაციისაკენ, უკეთესი შეგუება გარემოსთან, ევოლუციური შესაძლებლობების ზრდა.

საზოგადოებრივი პროგრესის ზოგადფილოსოფიური ცნების განსაზღვრა შემდეგნაირია: პროგრესი არის განვითარების მთავარი მიმართულება, მისი ზეაღმავალი ტენდენცია, მოვლენათა გადასვლა არსებულიდან უფრო მაღალ, სრულყოფილ მდგომარეობაში, წინსვლა უკეთესისაკენ.

ჟან ანტუან კონდორსე (1743_1794) ფრანგი ფილოსოფოსი, პედაგოგი, მათემატიკოსი, სოციოლოგი, პოლიტიკოსია. აღიარებულია, როგორც „პროგრესის“ თეორიის ფუძემდებელი, ისტორიის ფილოსოფიის ერთ-ერთი შემქმნელი. ის 1782 წლიდან საფრანგეთის აკადემიის წევრი. 1785 წელს დაიკავა მეცნიერებათა აკადემიის მუდმივი მდივნის თანამდებობა (ფაქტობრივად ასრულებდა თავის მოვალეობას 1773 წლიდან). მას მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ვოლტერთან და განსაკუთრებით ა.რ. ტიურგოსთან. მან დიდი წვლილი შეიტანა ენციკლოპედიის მომზადებაში.

კონდორსე ცდილობს დაადგინოს ისტორიის განვითარების კანონზომიერებანი, მისი ძირითადი ეტაპები და ისტორიული პროცესის მამოძრავებელი ძალები. ის განიცდიდა ჟ. ჟ. რუსოს, ა.რ. ტიურგოს ფილოსოფიური შეხედულებების გავლენას. 1791 წელს აირჩიეს საკანონმდებლო კრების წევრად. კონდორსე იყო საკანონმდებლო კრებაზე წარმოდგენილი სახალხო განათლების ორგანიზების პროექტის ავტორი, რომელშიც საყოველთაო, უფასო განათლების, საერო სკოლების პრინციპები იყო წამოყენებული.

რობესპიერის მთავრობამ შეთქმულებაში დაადანაშაულა კონდორსე და დაუსწრებლად სიკვდილი მიუსაჯა. ის გარკვეული დროის განმავლობაში მიიმალა. იმალებოდა მოქანდაკე ვერნეტის

ქვრივის სახლში. სწორედ აქ ყოფნისას კონდორსე წერს ფილოსოფიურ და ისტორიულ ნაშრომს „ადამიანის გონების პროგრესის ისტორიული სურათის ესკიზი“. 1794 წლის მარტში, იმის გამო რომ მისი მფარველისთვის სასიკვდილო საფრთხე აერიდებინა, კონდორსე ტოვებს მის სახლს საბუთების გარეშე. 1794 წლის გაზაფხულზე დააპატიმრეს, საჯარო სიკვდილით დასჯის თავიდან აცილების მიზნით კონდორსემ ციხეში 29 მარტს შხამი მიიღო და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

მთავარ შრომაში „ადამიანური გონების პროგრესის ისტორიული სურათის ესკიზი” (1794) ის ავითარებდა შეხედულებას ისტორიაზე, როგორც გონების პროდუქტზე. კაპიტალისტურ წყობილებას აცხადებდა გონებისა და „ბუნებრიობის” მწვერვალად. სხვადასხვა შემთხვევითი ნიშნის საფუძველზე კონდორსე ისტორიას ჰყოფდა 10 ეპოქად; ასაბუთებდა კაპიტალისტური წყობილების უსასრულო პროგრესის იდეას. ყოველი მომდევნო ეპოქა პროგრესულია წინასთან შედარებით თავის: პირველი ეპოქა აღინიშნებოდა ადამიანთა პირველყოფილი მდგომარეობით, როცა ისინი მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ ტომობრივი ორგანიზაციის პირობებში. მეორე ეპოქაში ხდება მიწათმოქმედებაზე გადასვლა, ცხოველთა მოშინაურება, ჯიშების გამოყვანა. მესამე ეპოქა ხასიათდება შრომის საზოგადოებრივი დანაწილებით და მიწათმოქმედებით; მეცხოველეობასთან ერთად ხელოსნურ საქმიანობის გაჩენით; სახელმწიფოებრივი მართვის და მეცნიერული ცოდნის ჩასახვით. მეოთხე ეპოქას ქმნის ძველი საბერძნეთი. წარმოიშვა უნიკალური კულტურა, ფილოსოფია, მეცნიერება; მეხუთეა რომის ეპოქა, როცა მოხდა ბერძნული კულტურის თავისებური ათვისება და განვითარება. მეექვსე ეპოქა აღინიშნა ქრისტიანობის წარმოშობით, რამაც შეაჩერა მეცნიერების, ფილოსოფიის, ხელოვნების განვითარება; ეს პერიოდი თავისებურად, კერძოდ სქოლასტიკის სახით გრძელდება მეშვიდე ეპოქაშიც. მერვე ეპოქა იწყება ანტიკური კულტურის აღორძინებით ქრისტიანული კულტურის შიგნით. შემოღებულია წიგნის ბეჭდვა, რაც ერთ-ერთი წინგადადგმული ნაბიჯია ამ პერიოდისთვის. მეცხრე ეპოქას ქმნის დიდი და განმანათლებლების მოღვაწეობა, რასაც მოჰყვა ლიბერალიზმის და დემოკრატიის ტრადიციების მყარად დაფუძნება. მისი იდეოლოგებია ლაიბნიცი, დეკარტე, ლოკი. ამ ეპოქაში დასაბუთდა თავისუფლების იდეა, ეს თავისუფლება დაგვირგვინდა საფრანგეთის რესპუბლიკით. მეათე ეპოქა არის ფეოდალიზმის შეცვლა კაპიტალიზმით. ჩამორჩენილი ხალხები მიდიან მოწინავეთა ნაკვალევზე. მთელ ამ პროგრესს კი, კონდორსეს აზრით, იწვევს გონებრივი პროგრესი. ისტორიული ეპოქა უნდა გამოიყოს საკაცობრიო განვითარების შედეგებისა და მათი თაობიდან თაობაში სრულყოფის მიხედვით. ისტორია კონდორსეს ადამიანის გონების პროგრესის სახით აქვს წარმოდგენილი.

კონდორსე ამტკიცებს, რომ ყოველი ეპოქის პროგრესი წინამორბედი ეპოქის მიღწევებზეა დამოკიდებული და თავის მხრივ გავლენას ახდენს მომავალზე. მას შეიძლება მეტ-ნაკლები სისწრაფე ახასიათებდეს, მაგრამ განვითარება არასოდეს არ არის უკუსვლა. თუ მაგალითად ფეოდალიზმი მონობას სპობს, თვითონ ქმნის პირობებს საზოგადოების შემდგომი პროგრესული განვითარებისათვის. თვითსრულყოფა ადამიანური გონების განუყოფელი ნიშანი და იმანენტური თვისებაა.

კონდორსე საზოგადოებრივ პროგრესს ერთ მთლიანობაში განიხილავს და ცდილობს მოძებნოს კანონზომიერება, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროებს ერთმანეთთან დააკავშირებს. კონდორსეს ყურადღების ცენტრშია ადამიანი; პროგრესი მას ესმის პიროვნების ნიჭის, უნარის ყოველმხრივ განვითარებად. კაცობრიობის ისტორია ადამიანის გონების განვითარების ისტორიად. საზოგადოებრივი პროგრესის წყაროა ადამიანის გონების სწრაფვა სრულყოფისაკენ. ამ სრულყოფის შესაძლებლობა უსასრულოა. ამიტომ უსასრულოა თვით საზოგადოების პროგრესული განვითარებაც. პროგრესის განვითარების ეს პროცესი შეუქცევადია ამრიგად, წინსვლა უსასრულოა და შეუქცევადი. „ადამიანის სრულყოფის უნარი ნამდვილად უსასრულოა... პროგრესი შეიძლება მეტნაკლებად სწრაფი იყოს, მაგრამ განვითარება უკან არასოდეს წარიმართება” [2; 5-6].

პროგრესის კანონზომიერი განვითარების ერთ-ერთ წყაროს კონდორსე ცოდნის სფეროში მიღწეულ წარმატებათა მომავალ თაობაზე გადაცემაში ხედავს და ამით ხაზს უსვამს პროგრესულ განვითარებაში მემკვიდრეობითობის უდიდეს მნიშვნელობას. საზოგადოებრივი პროგრესის წყაროს ის ხედავს შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში და ამით გამოწვეული საწარმოო პროცესების სპეციალიზაციაში. კონდორსეს ესმის, რომ პროგრესის პირველი საფუძველია წარმოებისა და მოთხოვნილების ზრდა.

პროგრესს დიდ ისტორიულ მონაკვეთებში ახასიათებდა წინსვლის შეჩერება, მისი შეწყვეტა: ამ დროს საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგიერთ სფეროში უკუსვლაც ხდება, მაგრამ მთლიანობაში მაინც წინსვლის ტენდენცია სჭარბობს. რამდენადაც წინ მიიწევს კაცობრიობა, იმდენად უფრო მეტად ჩქარდება პროგრესი.

კონდორსე პროგრესის შემაფერხებელ მიზეზად თვლის იმ შეცდომებს. რომლებიც ჭეშმარიტების მაძიებელ გონებას სინამდვილეში შემეცნების დროს მოსდის. ერთ-ერთი შემაფერხებელი მიზეზი რელიგიაცაა. პროგრესს აფერხებს საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების ორგანიზაციის ყველა

ისეთი ფორმა, რომელშიც ძალაუფლება ტირანებს უპყრიათ.

კონდორსე პროგრესის დაჩქარების ფაქტორად თვლის განათლების გავრცელებას და ვაჭრობის გაფართოებას. განსაკუთრებულ შემთხვევაში კი - პროგრესისათვის აუცილებელია სოციალური რევოლუცია. პროგრესის მთავარი ამოცანაა -„ეროვნებათა შორის უთანასწორობის მოსპობა, კლასთა შორის არსებული უთა¬ნასწორობის ლიკვიდაცია და ადამიანის სრულყოფა" [2; 221]. კონდორსე იკვლევს საზოგადოების შიგნით განსხვავების მიზეზებს. ასეთ მიზეზებად მას მიაჩნია: ა) ქონებრივი უთანასწორობა; ბ) წესი, რომლითაც ქონება მემკვიდრეობით გადადის;

გ) უთანასწორობა განათლებაში. უთანასწორობის მიზეზთა გარკვევისას, კონდორსე არ აყენებს მათი სრული მოსპობის საკითხს, რადგან ამაში ხედავს პიროვნების ყოველმხრივი განვითარების შეჩერების საფრთხეს.

კონდორსეს აზრით, საზოგადოების პროგრესული განვითარების საფუძველია მეცნიერებისა და მრეწველობის განვითარება, მათი ურთიერთზეგავლენა. „მეცნიერების პროგრესი უზრუნველყოფს მრეწველობის პროგრესს, რომელიც, თავის მხრივ, აჩქარებს მეცნიერების წარმატებებს. ეს ურთიერთზეგავლენა, ადამიანთა მოდგმის სრულყოფის ყველაზე უფრო ქმედითი, ყველაზე უფრო მძლავრი მიზეზია" [2; 250].

პროგრესის მამოძრავებელ მოტივად კონდორსეს მიაჩნია ადამიანის სწრაფვა სრულყოფისაკენ. ამის განხორციელების პირველ და გადამწყვეტ პირობად კი -ადამიანში ნამდვილი უფლების აღიარება. თანასწორობის პრინციპის განხორციელებისათვის მას საჭიროდ მიაჩნია უმრავლესობის ნებისადმი უმცირესობის დამორჩილება; ამის გარეშე ის შეუძლებლად თვლის საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლას. მას სწამს, რომ პიროვნების თავისუფლების მიღწევა შეუძლებელია ხალხთა შორის უთანასწორობის მოსპობის გარეშე.

ორი იდეა წითელი ხაზივით გასდევს მთელ მის ნაწარმოებს: ყველა ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების გათანაბრების აუცილებლობა და ადამიანთა მოდგმის გაუთავებელი გაუმჯობესება. „ადამიანის გონების პროგრესის სურათი" შედგება ორი ნაწილისაგან: პირველი შეიცავს პროგრესის მთელ სურათს, ყველაზე ზოგადი თვალსაზრისით; მეორე ნაწილში და მის შემდგომ ნაწილებში კონდორსე აპირებდა წარმოედგინა ფაქტები, რომლებიც შესავალში გამოთქმული აზრების განვითარებას და დადასტურებას ემსახურებოდა. პირველში, როგორც უკვე ზემოთ ავღნიშნეთ კონდორსე კაცობრიობის მთელ ისტორიას ათ ეპოქად ყოფს, ბოლოში კი საფრანგეთის რესპუბლიკის დაარსებიდან მოყოლებული დროა გაანალიზებული. მეორე ნაწილი კონდორსემ მეხსიერებით დაწერა, მაგრამ ნაწარმოების შემდგომი გაგრძელება შეუძლებელი იყო წიგნების უქონლობის გამო. მისი ნაწარმოებები გამოიცა 1804 და 1847 წლებში.

ქართველი ფილოსოფოსი ბ. ლუტიძე მის შესახებ წერს: „ზოგი ფილოსოფოსი გამოირჩევა საზოგადოებრივი პროგრესის სწორხაზოვანი გაგებით; ისინი ლაპარაკობენ სწორხაზოვნებაზე. ამ მხრივ ტიპიურია, ფრანგი ფილოსოფოს-განმანათლებელი ჟან ანტუან კონდორსე." [1;416].

ამრიგად, კონდორსემ სცადა დაედგინა ისტორიის განვითარების კანონზომიერებანი, გამოიკვლია საზოგადოების ძირითადი ეტაპები, ისტორიული პროცესის მამოძრავებელი ძალები. იმყოფებოდა რა რუსოს და ტიურგოს გავლენის ქვეშ, კონდორსე ისტორიის შესწავლისას დიდ ყურადღებას აქცევდა ხალხთა კულტურას და ზნეობას. იგი ისტორიული პროგრესის იდეას ერთ-ერთი ფუძემდებელია. ამასთან, პროგრესი მას ესმოდა სწორხაზოვან ზეაღმავალ მიმართულებად. ისტორიის მიმართულება მას გამოჰყავდა ადამიანის გონების განვითარების უსაზღვრო შესაძლებლობებიდან. გონება ისტორიის დემიურგია. ის ისტორიულ ეპოქებს აკავშირებდა ადამიანის გონების განვითარების ეტაპებთან. მიუთითებდა იმ მნიშვნელობაზე, რაც საყოფაცხოვრებო და პოლიტიკურ ფაქტორებს აქვთ საზოგადოების განვითარებაში. კაპიტალისტურ ეპოქას კონდორსე განიხილავდა კაცობრიობის ისტორიის უმაღლეს საფეხურად. საზოგადოების მომავალ პროგრესს კონდორსე იაზრებდა მხოლოდ კაპიტალისტური წყობილების ფარგლებში.

საზოგადოების ისტორიული ცვალებადობის წინსვლითი ხასიათის დასაბუთება იმის მტკიცებაა, რომ საზოგადოების განვითარება სულიერ პროგრესზეა დამოკიდებული, კონდორსეს და სხვა განმანათლებლებში დაგანმსახურებად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ მან ვერ გაარკვია უკუსვლითი მოძრაობის ადგილი საკაცობრიო ისტორიაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლუტიძე ბ. სოციოლოგია. I ნაკვეთი, თბ., ლეგა; 2002;

2. Кондорсе Ж. Эскиз исторической картины прогресса человеческого разума. М., 1936.